პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
24 ივლისი
№ 170 (17515)
ფასი 2 კაპ.

ჩხოროწყუს რაიონულ ცენტრში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის მეორე ფაბრიკის მშენებლობა. მას თორმეტი ათასი კვადრატული მეტრი ფართობი აქვს დათმობილი. ეს იქნება უახლესი სამამულო მოწყობილობით აღჭურვილი თანამედროვე საწარმო, სადაც ჩაის გადამამუშავებელი რვა ავტომატური ხაზი დამონტაჟდება.

სურათებზე: ახალი ჩაის ფაბრიკის მშენებლობა ჩხოროწყუში; მოწინავე მშენებელი ჯემალ ჩუტკერაშვილი. იგი ახალი ჩაის ფაბრიკის ვადამდე მწყობრში ჩაყენებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია. მის მიერ შესრულებული სამუშაოები ყოველთვის მაღალი ხარისხისაა.

ბ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲗᲘᲓᲔᲓᲐ ერთი საპროგრამო დოკუმენტი აქვს სახელმძღვანელოდ ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემას — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“. ახალი სასწავლო წლის დაწყების მოჯნაზე გამოქვეყნებულ ამ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი უმაღლესი სკოლის ყოველმხრივი სრულყოფისათვის. „უმაღლესმა სკოლამ, — აღნიშნულია დადგენილებაში, — პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისას გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფაში და მათი მომზადების მასშტაბით ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს“. მიღწეული წარმატებები გვახარებს. ამის დასტურად მარტო ჩვენი რესპუბლიკის მაგალითიც საკმარისია. უმაღლესი განათლების სპეციალისტთა ხვედრითი წონით საქართველოს პირველი ადგილი უკავია ქვეყანაში. 19 უმაღლეს სასწავლებელში 85 ათასი სტუდენტი სწავლობს. ყოველწლიურად სახალხო მეურნეობას რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების თითქმის 15 ათასი კურსდამთავრებული ემატება. მარტო წელს დაახლოებით 15.800 ქალიშვილი და ჭაბუკი პირველკურსელი უნდა გახდეს. უმაღლესი სკოლის დიდ განვითარებას ისიც მოწმობს, რომ წელსაც დიდია კონკურსი. მოსალოდნელია წლევანდელ კარზე მომდგარ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობა მიიღოს 60-70 ათასმა კაცმა. სწორედ ამიტომ გვმართებს უმკაცრესად დავიცვათ ბეშმარიტი პარტიული დისციპლინა მისაღებ გამოცდებზე. არავითარი პროტექცია, არავითარი დარღვევა გამოცდებისა და მიღების დადგენილი წესებისა! რექტორატებს, პარტიულ კომიტეტებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ის მოთხოვნები, რაც წაყენებული იყო მათ წინაშე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ამასწინათ გამართულ სპეციალურ თათბირზე გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარების საკითხებს რომ მიეძღვნა, და საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკურ აქტივზე ამხ. ე. ა. შევარდნაძის მიერ წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში.

სასიხარულოა, რომ წლეულს პირველ ნაკადს მიიღებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი უმაღლესი სასწავლებელი. — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი — რიგით მეორე უნივერსიტეტი საქართველოში. ჩვენი უმაღლესი სკოლის მოღვაწეობას საფუძვლად უდევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო შვიდი წლის მანძილზე დამკვიდრებული მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ატმოსფერო, რასაც განაპირობებს ახალგაზრდობაზე საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პარტიული კომიტეტების მუდმივი ზრუნვის წმინდა პრინციპი.

უმაღლესი სკოლა საქართველოში აღმავალი გზით მიდის. მაგრამ ამასთან მეტნაკლებად ჩვენს უმაღლეს სკოლებსაც ეხებათ ის არსებითი ნაკლოვანებები, რომლებზეც დადგენილებაში განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურადღება:

„სასწავლო პროცესში ყოველთვის ვერ პოულობს ასახვას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უახლესი მიღწევები, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მოწინავე გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ნაწილს არა აქვს შეძენილი ღრმა ცოდნა ზოგადმეცნიერულ დისციპლინებში, სუსტადაა მომზადებული პროფესიულად. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სტუდენტთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზაციას, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას“.

დღევანდელი სტუდენტები ხვალინდელი სპეციალისტები არიან, მათ მოღვაწეობა მოუწევთ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, მათ უნდა ინაგურაციონ XXI საუკუნეში. ამიტომ უმაღლესი სკოლა უნდა ზრდიდეს მაძიებელი აზრის ადამიანებს, რომლებიც აისხვრევიან ჩვეულ საზღვრებს, კვალავენ მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის ახალ-ახალ გზებს; უმაღლესი სკოლა უნდა ზრდიდეს კომუნისტური პარტიის იდეალებისათვის სათმდგომ იდეურ მებრძოლ სპეციალისტებს. მიმდინარე წლის ივნისის რესპუბლიკური პარტაქტივის კრებაზე გაისმა შთამაგონებელი სიტყვები: „როცა სტუდენტს ცუდ სპეციალურ ცოდნას ვაძლევთ, ჩვენ პროფესიულ წუნს ვიდებთ; როცა მას მსოფლმხედველურ, პოლიტიკურ შეფასებას ვაკლებთ, ჩვენ ამით საზოგადოებას აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე მდგომ პიროვნებას ვუარგავთ“.

დადგენილება აყენებს რექტორატებისა და პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამოცანას — უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლთა მთელი საქმიანობა წარმართონ სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. მარტო სპეციალობის დაუფლებით არ შემოიფარგლება სპეციალისტის მომზადება, ამასთან მთავარია მისი მსოფლმხედველობრივი აღზრდა. პროფესორ-მასწავლებლთა ლექციების პრობლემური ხასიათი უნდა ჰქონდეს, ასახავდეს თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებს, საზოგადოებრივი და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებს, ხელს უწყობდეს გაღრმავებულ დამოუკიდებელ მუშაობას; გააკტიურონ სემინარული და ლაბორატორიული მეცადინეობა, რაც ცოდნის ღრმად შეითვისებისა და სტუდენტთა შემოქმედებითი უნარის ეფექტიანი ფორმაა.

იმის გამო, რომ სულ უფრო იზრდება მოთხოვნები სპეციალისტთა მომზადების ხარისხისადმი, მათი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის უნარის რაციონალური შეხამებისადმი, დადგენილებაში საჭიროდ არის მიჩნეული უმაღლესი სასწავლებლების კავშირის კიდევ უფრო გაფართოება და გაღმტკიცება სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებთან. დასახულია სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვის გაუმჯობესების ნათელი გზა. მოეწყობა სპეციალისტების განაწილება უფრო ადრეულ ვადაში — სასწავლებლის დამთავრებამდე ერთი-ორი წლით ადრე, შემდეგ კი შეეუშვადება სპეციალისტთა განაწილების ხუთწლიანი გეგმები და გეგმის მაჩვენებლები დაეგზავნებათ საწარმოებსა და უმაღლეს სასწავლებლებს. ამ საფუძველზე უნდა გააქტიურდეს უმაღლესი სკოლისა და სახალხო მეურნეობის დარგების ერთობლივი საქმიანობა კადრების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მეცნიერული კვლევის განვითარებისათვის.

„უმაღლესი სკოლა არა მარტო სასწავლო, არამედ სამეცნიერო დაწესებულებაც არის. აქ თავმოყრილია ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერული ძალები. საქართველოში არ ყოფილა და არ არის არც ერთი დიდი მეცნიერი, შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში რომ არ ელვაწა ან არ მოღვაწეობდეს. დიდმნიშვნელოვან პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტში, უმაღლესი სკოლის შემდგომი წინსვლის პროგრამას რომ გვისახავს, აღნიშნულია, რომ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ორგანიზაცია სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების ამოცანებთან მჭიდრო კავშირით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნრდილი და შთაგონებული რესპუბლიკის კომკავშირი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი ახალგაზრდობის მეგობარი, მრჩეველი და წინამძღოლია. შესანშნავად არის ასახული კომკავშირის ამოცანები პარტიისა და მთავრობის ამ ბოლო დადგენილებაშიც, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ კომკავშირის კომიტეტები უნდა წარმართავდნენ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობას.

უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარება და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება, რომლის პროგრამაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებაშია მოცემული, პარტიული ორგანიზაციების ღვიძილი საქმეა. ეჭვი არ არის, ჩვენს აღმავალ რესპუბლიკაში გაუხარელად, შემოქმედებითად განხორციელდება პარტიისა და მთავრობის ეს დიდი ღონისძიება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად. პარტია და მთავრობა რწმენას გამოთქვამენ, რომ უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციები და კოლეტივები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს და ცოდნას მოახმარენ პარტიის წინასწარმეტყველებათა შესრულებას, გაზრდიან უმაღლესი სკოლის წვლილს კომუნისტურ მშენებლობაში.

ᲪᲣᲗᲧᲚᲔᲓᲘ, ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲪᲐᲠᲘᲡᲪᲮᲘᲐᲜᲐᲓ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲐᲓ!

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ გიგანტის ბეტონის სამუშაოთა ხელმძღვანელობის შტაბში შეჯამდა „მუშური ესტაფეტის“ პრინციპით მომუშავე მომიჯნავე მშენებელთა შეჯიბრების ნახევარი წლის შედეგები. კომპლექსურ ბრიგადებად გაერთიანებული მემონტაჟეების, მებეტონეების, მეარმატურეების, შეამწეების, ტრანსპორტის მუშაკთა საქმიანი შემოქმედებითი თანამეგობრობა ხელს უწყობს სამუშაოთა დაჩქარებას. შრომის მაღალი ეფექტიანობისა და ხარისხისათვის შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩევიან კადრის ჰიდრომშენებლები სერგი თედეეი და ომარ ბობოხიძე, ალექსანდრე დონსკოი და გურამ გოქაძე, არველოდი და გული არკანიები.

დეკეზით: „ვაშენოთ სწრაფად, ხარისხოვნად და ეკონომიურად!“ გაიშალა სამუშაოები ძალური კვანძის კომპლექსის უმნიშვნელოვანეს ობიექტზე — ენგურჰესის ძირითადი შიწისქვეშა ელექტროსადგურის მშენებლობაზე, გენერატორის შენობაში, სამი მოქმედი აგრეგატის გვერდით, რომლებიც მუშაობენ 780 ათასი კილოვატი რეჟიმით, მიმდინარეობს სამანქანო დარბაზის მეორე რიგის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. აქ მომუშავე საუკეთესო კომპლექსური ბრიგადების კოლექტივები ძალ-ღონეს არ იშურებენ, ოღონდ ვადაზე ადრე გადასცენ საექსპლოატაციოდ მეოთხე და მეხუთე აგრეგატები, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 260 ათასი კილოვატია,

ᲓᲦᲔᲡ ᲔᲜᲔᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲨᲔᲯᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ევროპასა და ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მიწისქვეშა ელექტროსადგურის სიმძლავრე გაზარდონ საპროექტო — 1.300 ათას კილოვატამდე.

„კაშხალმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი, რომელიც განამტკიცებს მაღლივი კაშხალის პირველი რიგის ამუშავების პერიოდში მიღწეულ წარმატებებს, კვლავ მეთაურობს მოწინავეებს. მათ არ ჩამორჩება არც „სპეციალიზრომონტაჟის“ ენგურის სამონტაჟო უბნის კოლექტივი. სპეციალიზებულმა ბრიგადებმა მთელ ძალებს მოუყარეს თავი მაღლივ კაშხალზე.

წლის პირველ ნახევარში ენგურის მთელ მშენებლობაზე ზუსტად და შეუფერხებლად სრულდებოდა სამუშაოთა გრაფიკი.

ენგურის სთავეში — ხუდონჰესის მშენებლობაზე აგრეთვე დიდი საზაფხულო შეტევაა გაჩაღებული. დამკვრელური მექანიზაციის ბრიგადა ეფექტიანად ამთავრებენ საავტომობილო გზებისა და ხიდების აგებას, სატრანსპორტო გვირაბის გაყვანას. იქვს თვეში ძნელ პირობებში შესრულდა 2 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოები და კოლექტივმა უპატაკა წლიური გეგმის შესრულება.

ენგურის კასკადის ახალი ელექტროსადგურის მექანიზატორებმა და მშენებლებმა, როშლებმაც მხარი დაუჭირეს სვერდლოვსკელთა ინიციატივას „ბრიგადის ხუთწლიანი დავალება — ნაკლები რიცხვით!“ იკისრეს ვალდებულება წლის დამლევამდე დამატებით ორ მილიონ მანეთზე მეტი თანხა აითვისონ. ხუდონჰესის მშენებლობის ბრიგადირთა საბჭომ დაამთავრა თითოეული უბნისათვის სამშენებლო და მექანიზებულ სამუშაოთა წარმოების ჩაროსნული, შემჭიდროებული გრაფიკის შემუშავება.

ჰიდრომშენებელთა საზაფხულო შეტევა ენგურის ნაპირებზე გრძელდება.

თ. ჯიბუტი.

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ ᲛᲔᲡᲢᲘᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲮᲚᲐ მესტიის საბჭოთა მეურნეობაში ენერგიული შრომაა გაჩაღებული — თიბავენ ბალახს, დებენ სენაუს, უკვე აღებულია 150 ტონა თივა. ის ბრიგადები, რომლებსაც ბ. კახბერიძე და ვ. გოშთელიანი ხელმძღვანელობენ, ძირითადად ბალახს თიბავენ სენაჟის დასამზადებლად. გათვალისწინებულია მესტიის საბჭოთა მეურნეობაში წელს 350 ტონა სენაჟი დამზადდეს.

თიბვის საქმეში დაწინაურდნენ მესტიის, ლენინგორისა და ლატალის აგროგანყოფილებების საკვებმომპოვებლები. ტ. ნიგურიანი, ბ. ნაკანი, დ. ხერგიანი, მ. ნიგურიანი, გ. ჯაფარიძე თიბვის ყოველდღიურ ნორმას ერთიორად ასრულებენ.

დაიწყო მრავალწლოვანი ნათესი ბალახების თიბვაც, რომელთაც ამ მეურნეობაში 64 ჰექტარი უკავია. ივლისის თვის ბოლოსათვის აქ დამზადებენ 200 ტონა თივას, რაც დიდად სჭარბობს გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

აგვისტოს პირველ ნახევარში კი მესტიის რაიონში თიბვა მთელი ძალით გაჩაღდება. მესტიელთა გადაწყვეტილებაა მოუთიბავი არ დატოვონ არც ერთი ბღუჯა ბალახი და სანოგადოებრივ პირუტყვს შეუქმნან მტკიცე საკვები ბაზა. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რომ შესრულდეს საკვების დამზადების რაიონული გეგმა, რომელიც 20 ათასი ტონა თივის დამზადებასა და 1.500 ტონა სენაჟის ჩადებას ითვალისწინებს.

ვ. ხახიაური,
„კომუნისტის“ სპეც კორ.



ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲔᲑᲗᲐ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ რაიონის მიწათმოქმედთათვის ტრადიცია გახდა: ივლისის პირველ ნახევარში შეასრულონ სახელმწიფოსათვის კარტოფილის მოყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა. რაიონმა წარმატებით შეასრულა დავალებები: სახელმწიფოს მიჰყიდა 42 ათას ტონაზე მეტი საადრეო კარტოფილი, მაშინ როცა გეგმით 37 ათასი ტონა უნდა ყოფილიყო. რეალიზებულია სრულიად საკავშირო ფონდში კარტოფილის გაგზავნის გეგმებიც. გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი ტონის ნაცვლად ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში გაგზავნეს 28 ათასი ტონა კარტოფილი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სარაჩლოს, არახლოსა და ფახარალოს საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური აგროარულ-სამრეწველო საკავშირო გაერთიანების მექარტოფილეობის მთავარმა აგრონომმა დ. გეგენავამ ამ ფაქტების განმარტებისას თქვა:

— რაიონის მეურნეობებმა საუკეთესო აგროვადებში დათესეს კარტოფილი, რითაც ხელსაყრელი პირობები შექმნეს მცენარეთა განვითარებისათვის. უხვი მოსავლის მოწევაში დიდი როლი შეასრულა ნათესების გულმოდგინე მოვლამ, მათი მინერალური საკვებით უზრუნველყოფამ, მორწყვამ. რაიონში კომპლექსურ-მექანიზებულ რგოლთა ორგანიზაციამ საშუალება მისცათ დროულად, თითქმის უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი.

სერიოზულად იზრუნეს ბოლნისელებმა პროდუქციის ტრანსპორტირების ორგანიზაციაზეც. მაგალითად, აადეს სატვირთო სარკინიგზო ბაქნები, მათთან მიიყვანეს გზები.

საადრეო კარტოფილის მთელიანი მოსავლის გაზრდის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. ბოლნისის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონების ბუნებრივი პირობები საუკეთესო გამოდგა ამ კულტურის თესვა-მოყვანისათვის. ამ რაიონების მეურნეობათათვის არარენტაბელური მარცვლეული, თამბაქოსა და სხვა კულტურები გაუქმდა, შეიქმნა სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც მხოლოდ კარტოფილი მოჰყავთ. ერთდროულად აქ ააგეს ტიპური იარაღიტორები, კარტოფილსაცავები, სხვა დამხმარე მეურნეობები. ჩვენი ქალაქების მაღაზიებში ყოველდღიურად ამ რაიონებიდან მიაქვთ 300 ტონა კარტოფილი. ამდენი კარტოფილი წლის ამ პერიოდში ჯერ არ შემოსულა. ამ სეზონში განზრახულია დამზადდეს 68 ათასი ტონა კარტოფილი — უდიდესი მოსავალი, რაც კი ოდესმე მოგვიწევია.

ᲛᲖᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ — ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝᲓ

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. ქართული ჩაის პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ წელს აჭყვის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი 500 ტონა მზა პროდუქციას გაუგზავნის პოლონეთს, უნგრეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ ექსპორტს.

ფაბრიკა წელს 5.500 ტონა ნედლეულს გადაამუშავებს. აქ დაინერგა ტექნოლოგიური სიახლენი, დაამონტაჟეს ფოთლის მექანიკური შემნახველები, სრულყეს ნახევარფაბრიკატების დასახარისხებელი აგრეგატები და სხვა, რამაც საგრძნობლად აამაღლა წარმოების კულტურა.

ᲡᲣᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗ

ᲜᲐᲠᲨᲐᲕᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲒᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ, 20 ივლისი. (საქინფორმის კორ. ხ. ბელსკი). სოფელ ურეხის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკების საარაინთაშორისო საწარმოო გაერთიანების უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი ტ. დვალაძე და მისი მეუღლე, ურეხის ჩაის ფაბრიკის ცენტრალური მიმღები პუნქტის გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ნიმეოლაძე ერთმანეთს დანაშაულებრივად შეუთახმდნენ და უფაქტურო ოპერაციების გზით ფულს ითვისებდნენ, ვითომდა გადასამუშავებლად ჩაბარებული ჩაის ფოთლისათვის.

საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის ბიურომ განიხილა ურეხში მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებათა საკითხი. ბიურომ აღნიშნა, რომ ურეხის ჩაის ფაბრიკის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია, სოფელ ურეხის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა და პარტიული კომიტეტი შესაბამის აუურადღებას არ უთმობენ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობას ფორმალიზმი ახასიათებს.

ურეხის კოლმეურნეობაში სუსტია ორგანიზატორული, იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, შრომის დისციპლინა. კოლმეურნეობის ბრიგადირები და ცალკეული წევრები ცდილობდნენ სხვადასხვა მაქინაციებით შეეცვალათ საგეგმო დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ურეხის ფაბრიკა მოუმზადებელი შეხვდა ჩაის კრეფისა და ნედლეულის გადამუშავების სეზონს. მიღწეული არ ყოფილა დაპროექტებული სიმძლავრის მინიმუმი, ხშირად იროლვევა ტექნოლოგიური პროცესები. გადასამუშავებლად მიღებული ნედლეული ფაბრიკაში დიდხანს იდო, ფუქდებოდა მისი ხარისხი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბოროტმოქმედებათა ჩადენას.

რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით ტ. დვალაძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან. ბიურომ ცნობად მიიღო, რომ ტ. დვალაძისა და შ. ვარშანიძის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის ურეხის ჩაის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანს ნ. ჯაფარიძესა და სოფელ ურეხის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანს შ. ვარშანიძეს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური. სასტიკი საყვედური პირად ბარათში შეტანით გამოუცხადეს აგრეთვე ურეხის ჩაის ფაბრიკის დირექტორს რ. აბაშიძესა და სოფელ ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ბარამიძეს.

მიღებულ დადგენილებაში ბიურომ რაიონის მეჩაიეობის მეურნეობათა სამეურნეო ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს, დირექციებს, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკების საარაინთაშორისო საწარმოო გაერთიანების პარტიულ კომიტეტს დაავალა მკვეთრად გააძლიერონ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, უზრუნველყონ სახალხო დოვლათის დაცვა.

ᲛᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ

ᲒᲠᲝᲜᲬᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲑᲠᲝᲜᲬᲝᲜᲘᲨᲘ ხუთი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლებიც საქართველოს მშრომელთა საჩუქარია მიწის ძვრისაგან დაზარალებული ჩაჩნეთ-ინგუშეთის დედაქალაქის მცხოვრებლებისადმი, „თბილქალაქმშენის“ № 14 ტრესტის კოლექტივმა ააშენა.

მუშაობა ბრიგადული იჯარის მეთოდით მიმდინარეობდა. № 2 სამშენებლო სამმართველოს მემონტაჟეთა ჯგუფმა, რომელსაც ტრესტის მთავარი შემდეგებელი ა. თათარიშვილი ხელმძღვანელობს, დროულად შეასრულა გათვალისწინებული მოცულობის სამუშაოები და განსაზღვრა მომიჯნავეთა შემდგომი წარმატებული მუშაობა. № 1 სამშენებლო სამმართველოს მომპირკეთებლებმა, რომლებმაც მათ შემდეგ განაგრძეს მუშაობა, შელესეს კედლები, დაამონტაჟეს კარ-ფანჯრის ბლოკები, დააგეს პარკეტი. სუბსიიჯარო ორგანიზაციებმაც კარგად იმუშავეს, ტრესტის სანტექნიკური უბნის წარმომადგენლებმა სწრაფად და ხარისხიანად დაამონტაჟეს გათბობის სისტემა.

გამოცდილი, კარგი ოსტატები გამოდგნენ დ. გეწაძე, მ. სხირტლაძე, ზ. ჯაყელი, დ. თავბერიძე და სხვები.

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲓᲐᲜ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲨᲘᲪ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ Ა. ᲝᲡᲐᲫᲔ, Გ. ᲯᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ ᲓᲐ Თ. ᲮᲕᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜᲘ.

ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲡᲬᲠᲘᲜᲐᲗ ᲐᲛᲘᲠᲘᲠᲐᲕᲙᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲠᲘᲭᲝᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡᲚᲘᲗ ᲘᲧᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲘᲛᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲐᲓᲠᲔ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲐ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲥᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲓᲠᲔ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ

კადრები: კომპეტენტურობა, ნდობა, პასუხისმგებლობა

ცოდნითა და აქტიურობით

ცნობილია, რომ ნებისმიერ ხელმძღვანელ მუშაკზე, ათასკაციანი კოლექტივის მეთაური იქნება იგი, თუ მცირერიცხოვანი ბრიგადისა, მის კომპეტენტურობაზე, სწორ გადაწყვეტილებებზე ბევრად არის დამოკიდებული საქმის წარმატება. სწორედ ამის გამო მუდამ დიდი ყურადღება ექცეოდა კადრებთან მუშაობას, მათი შერჩევის, აღზრდისა და განაწილების მწყობრი სისტემის შექმნას, მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია ახლა, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტიც გამგეობასთან ერთად, საბრიგადო პარტორგანიზაციათა მდივნების, ბრიგადირების, კომუნისტი სპეციალისტების დახმარებით, ყოველ ღონეს ხმარობს ამ მხრივ საქმის გაუმჯობესებისათვის. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ახალგაზრდა, კომკავშირელ სპეციალისტებთან მუშაობას, რადგან სწორედ ლენინური კომკავშირის აღზრდილნი არიან კადრების მნიშვნელოვანი რეზერვი. ისინიც გვამართლებენ იმედს. ერთი ასეთი ფაქტი: როდესაც შარშანწინ გარკვეული მიზეზების გამო №3 ბრიგადა უხელმძღვანელოდ დარჩა, პარტიულმა კომიტეტმა თავისი რეზერვებიდან შეარჩია და ამ ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაცია მისცა მარი ახვლედიანს. მართალია, იგი შედარებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ კარგი წრთობა ჰქონდა მიღებული. მან საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა რიგით კოლმეურნედ, შემდეგ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციას, 1975-77 წლებში კი მესამე ბრიგადის პარტორგანიზაციის მდივანი და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის წევრი იყო. ამიტომაც ეს კანდიდატურა ყველამ უყოყმანოდ მოიწონა და არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ მარი გაართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას.

საშუალო რგოლის კვალიფიციურ სპეციალისტებს, მოგეხსენებათ, დიდი როლი განეკუთვნებათ სოფლის მეურნეობაში. ამიტომ ბრიგადირების, მექანიზატორების, ფერმის სპეციალისტების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა ჩვენი სისტემატიური ყურადღების ცენტრშია. საშუალო რგოლის იმ სპეციალისტებს, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური განათლება, ყოველმხრივ ვეხმარებით სწავლის განგრძობაში. მაგალითად, ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში სამმა მუშაკმა დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ახლა უფრო წარმატებით მუშაობს.

უმაღლესი ან საშუალო-სპეციალური განათლება დღეს ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელისათვის აუცილებელია, მაგრამ ჩვენ არც იმას ვივიწყებთ, რომ, თუ მუშაკი სისტემატურად არ იზრუნებს ცოდნის დონის ამაღლებისათვის, არ იმუშავებს საკუთარ თავზე, არ გაიღრმავებს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მას უთუოდ გაუჭირდება მუშაობა. პარტიული კომიტეტი ამ საკითხსაც ერთ-ერთ უპირველეს როლს მიაკუთვნებს. ამჟამად №2 ბრიგადის პარტორგანიზაციის მდივანი, უმაღლესი აგრონომიული განათლების მქონე მ. კოპაძე ექვსთვიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზეა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, თელეთში მემცენარეობის ბრიგადირთა სამთვიან კურსებზე სწავლობს ტ. თოდაძე, ახლახან ერთთვიანი კურსებიდან დაბრუნდა კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნ. ავალიანი...

მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი არა გვაქვს რიგზე, რადგან ზოგიერთი საშუალო რგოლის ხელმძღვანელი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს დაუსწრებელად სწავლის განგრძობას. ამიტომაც მეტი უნდა ვიფიქროთ კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, მათთვის ორგანიზატორული ჩვევების ჩანერგვის სხვა ფორმების გამოძებნაზე. ამ მხრივ ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია ის, რომ ყოველი კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობაში, პარტიული კრებებისა და პარტკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში, მათს მუშაობაში, იყოს ინიციატიანი, პრინციპული. ერთი კონკრეტული მაგალითი მინდა მოვიყვანო. ჩვენი კოლმეურნეობის ადმინისტრაციის პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი მ. ქარაბაკი ამჟამად ზეგნის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა და კარგადაც არმდევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. და უნდა ითქვას, რომ სწორედ ჩვენი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობაში აქტიურმა მონაწილეობამ გამოუმუშავა მას ორგანიზატორული ჩვევები, მოგცმულია დებულებები და დასკვნები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა თავის შრომებში — „სკკპ იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“ და „პარტიული მშენებლობის აქტუალური პრობლემები“ და მის წიგნებში — „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანები და ერთმანეთს გაუზიარეს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება, აუცილებელია მიგვაჩნია ის, რომ ყოველი კომუნისტი აქტიურად მონაწილეობდეს კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობაში, პარტიული კრებებისა და პარტკომის სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში, მათს მუშაობაში, იყოს ინიციატიანი, პრინციპული. ერთი კონკრეტული მაგალითი მინდა მოვიყვანო. ჩვენი კოლმეურნეობის ადმინისტრაციის პარტორგანიზაციის ყოფილი მდივანი მ. ქარაბაკი ამჟამად ზეგნის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეა და კარგადაც არმდევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. და უნდა ითქვას, რომ სწორედ ჩვენი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობაში აქტიურმა მონაწილეობამ გამოუმუშავა მას ორგანიზატორული ჩვევები, ბრძოლა ეფექტიანობისა და ეკონომიკურობისთვის, ეს ბრძოლა ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას და, კერძოდ, ჩვენს კოლმეურნეობასაც აკლია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენმა პარტიულმა კომიტეტმა გადაწყვიტა უფრო მჭიდრო კონტაქტები. დაემყარებინა საშუალო სკოლის მოსწავლეებთან, ბავშვობიდანვე ჩაენერგა მათთვის მშობლიური რაიონის, სოფლის, მარჩენალი მიწის, მშრომელი ადამიანების სიყვარული. ამან კარგი ნაყოფიც გამოიღო — მოსწავლეები არდადეგების პერიოდში საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობენ, ხოლო ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში რჩება სამუშაოდ. მათგან საუკეთესოებს უმაღლეს სასწავლებელში გვზავნით სწავლის განსაგრძობად. მაგალითად, 1975-78 წლებში რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გახდნენ ე. მინაძე, მ. კბილაშვილი, მ. კიკნაველიძე, დ. გოგოძე, კ. ნერგაძე, ა. ჩხეიძე და სხვები, რომლებიც ჩვენ გავგზავნეთ სასწავლებლად და უმაღლესის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდებიან.

დიახ, შედეგი თითქოს არ არის უარეგო, მაგრამ მაინც განუზომლად მეტი მუშაობა გვმართებს იმისათვის, რომ როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ ბოლოდროინდელ მეტად საყურადღებო და სახელმძღვანელო დადგენილებაში — „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — არის ნათქვამი, „ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ სასოფლო-სამეურნეო პროფესიების სიყვარული, გახვავთოროთ და მხარი დავუჭიროთ მათ პატრიოტულ მისწრაფებას იმუშაონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“.

ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში კადრების სწორი შერჩევის და განაწილების ბევრი კარგი ფორმა დაინერგა. ლიტიკურ აღზრდას, ვერ იჩენენ სათანადო კომპლექსურ მიდგომას მშრომელთა აღზრდის საკითხებისადმი.

პლენუმზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება გამახვილონ მარქსისტულ-ლენინური განათლების ეფექტიანობაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე. საჭიროა დამაჯერებლად გამოვლინდეს საბჭოთა ცხოვრების წესის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების არსი, გაძლიერდეს მუშაობა ათეისტური აღზრდისათვის, უფრო ქმედითად წარიმართოს ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების, ანტისოციალურ ბრივი და სხვა ნეგატიური მოვლენების, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო ვრცელი დადგენილება და ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა.

ი. გოგბერიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გულისყურით მოვეკიდოთ

ეროვნის კანონმდებლობა არ უნდა იძღვეოდეს

უკვე მეორე წელია მოქმედებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მე-20 მუხლში ჩაწერილია: სსრ კავშირის მოქალქეებს აქვთ შრომის უფლება, — ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტები ითვალისწინებენ მშრომელთა შრომის უფლებების დაცვის მეთოდებს და საშუალებებს, ამასთან მთავარია კანონი სრულყოფილად ხორციელდებოდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთხელ იმსჯელა და მნიშვნელოვანი ღონისძიებები დასახა სამუშაოდ მუშაკის გათავისუფლებისას შრომის კანონმდებლობის მტკიცედ დაცვის აუცილებლობის შესახებ. ამ მხრივ ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა, თითქმის განახევრდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც სამუშაოზე აღდგენისათვის სასამართლო ორგანოებს მიმართავენ. ასეთი სახის დაკის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პროფილაქტიკურ და აღმზრდელობითს ღონისძიებებს. ხშირად იწყობა ლექცია-საუბრები, ცალკეულ უწყებებს ეგზავნებათ წარდგინებები. კოლეგიებს სისტემატურად გამოაქვთ კერძო განჩინებები. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, თანამდებობის პირებს (რომელთა უკანონო ბრძანებებიც მუშა-მოსამსახურეები განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან) ეკისრებათ მატერიალური ზარალის ანაზღაურება, ხორციელდება სხვა ზემოქმედებითი ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის სწორი გამოყენება. მაგრამ ჯერ კიდევ ვხედავთ მუშაკთა უკანონო განთავისუფლების შემთხვევებს, პროფკავშირის ადგილკომთან შეუთანხმებლად და სხვა წესების უხეში დარღვევით. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ საწარმო-დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი შეგნებულად უგულებელყოფს კანონს ან უცოდინარობით აღიარებს მას.

მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს: მოქალაქე ო. დოლიშვილი დუშეთის საბჭოთა მეურნეობაში დამამზადებლად მუშაობდა. შარშან იგი სამუშაოდან გათავისუფლეს. ბრძანებაში არ იყო აღნიშნული ამის კონკრეტული საფუძველი და არც შრომის კანონთა კოდექსის მუხლი. სამუშაოდან გათავისუფლებაზე თანხმობა მისცა პროფკავშირის მუშათა კომიტეტმა ო. დოლიშვილის დაუსწრებლად. მას არც კი შეატყობინეს ამ საკითხის მუშათა კომიტეტში განხილვის შესახებ.

სახალხო სასამართლომ ო. დოლიშვილის სარჩელი დაკმაყოფილა, იგი სამუშაოზე აღადგინა გაცდენილი დღეების ხელფასის (211 მანეთი) ანაზღაურებით. მოქალაქე ვ. ლაგაზაშვილი იმავე მეურნეობაში ნავთობბაზის საწყობის მუშად მუშაობდა. იგი სამუშაოდან ისე გათავისუფლეს, რომ მუშათა კომიტეტთან არც კი შეუთანხმებიათ. სახალხო სასამართლომ ვ. ლაგაზაშვილის ეს სარჩელიც ასევე ხელფასის (129 მანეთი) ანაზღაურებით დაკმაყოფილა.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ მუშაკის გათავისუფლება კანონით დაუსაბუთებელია. ასეთ მუშაკებს სახალხო სასამართლოები სამუშაოზე აღადგენენ. მ. დარბაისელი საგარეჯოს № 1 ავტოგასამართავ სადგურში ოპერატორად ირიცხებოდა. საგარეჯოს ნავთობბაზის დირექტორის მ. ქვათაძის ბრძანებით მ. დარბაისელი გათავისუფლეს იმის გამო, რომ მან უნებართვოდ დატოვა სამუშაო და თავისი მოვალეობის შესრულება სხვა მუშაკს — მექანიკოს გ. გულისაშვილს მიანდო. მ. დარბაისელის სარჩელი სახალხო სასამართლომ დაკმაყოფილა. იგი აღადგინეს ხელფასის ანაზღაურებით, საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ მ. დარბაისელს წარსულში ადმინისტრაციული სასჯელი არ ჰქონია, შემთხვევის დღეს მან ბავშვის ავადყოფობის გამო სამუშაო დროებით დატოვა და ნება დართო გ. გულისაშვილს მისი მოვალეობა შეესრულებინა. ამრიგად, არ არსებობდა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული გარემობა. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. დარბაისელი სამუშაოდან გათავისუფლეს შარშან 17 დეკემბერს პირველ სექტემბერს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ე. ი. სამთვენახევრის შემდეგ. ცხადია, ამით დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 136-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად „დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტის გამოვლინებიდან ერთი თვის გავლის შემდეგ“, ამასთან პროფკავშირის მუშათა კომიტეტმა, გარდა იმისა, რომ დაუსაბუთებლად მისცა ადმინისტრაციას სამუშაოდან განთავისუფლების თანხმობა, ამასთან საკითხი მ. დარბაისელის დაუსწრებლად განიხილა..

ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა მუშაკებს სამუშაოდან ათავისუფლებენ ისეთი საფუძვლით, რომელიც შრომის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, მ. ჩაჩავა ქალაქ გორის ცენტრალურ უნივერმაღში ადმინისტრატორად მუშაობდა. 1978 წლის მეორე ნახევრიდან მის მიმართ შეიქმნა აზრი, რომ კოლეგიურად არ ექცევა თანამშრომლებს, ამ საფუძველით გორკომის მრეწველობის დირექციამ ორჯერ — 1978 წლის 10 სექტემბერს და 1979 წლის 16 მარტს სთხოვა პროფკავშირის ადგილკომს მისი განთავისუფლების ნებართვა (დირექტორი — ბ. გაგამიძე), ადგილკომში არ დაეთანხმა დირექციის ამ მოსაზრებას.

ამის შემდეგ დირექციამ სხვა ზომებს მიმართა, მ. ჩაჩავა, მისი თანხმობის გარეშე სხვა თანამდებობაზე — საქონელმცოდნედ გადაიყვანა. მ. ჩაჩავა არ დაეთანხმა დირექციის ამ უკანონო ბრძანებას. საქმე ამით არ დამთავრებულა. 27 აპრილს ადმინისტრაციამ მაინც მიიღო ადგილკომის თანხმობა და იმავე საფუძველით მ. ჩაჩავა სამუშაოდან განთავისუფლა. ბრძანებაში არ მოუთითა კანონის რომელ საფუძველს ეყრდნობოდა.

დაზარალებულმა თავისი უფლების დასაცავად სახალხო სასამართლოს მიმართა. მაგრამ გორავიაშრომის დირექციამ საქმის სასამართლოში არსებითად განხილვამდე გაუაქმა თავისივე ბრძანება მ. ჩაჩავას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ და კვლავ აღადგინა თანამდებობაზე.

არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის მუშაკი იმსახურებს სამუშაოდან განთავისუფლებას. მაგრამ იმის გამო, რომ ადმინისტრაცია არღვევს კანონით დადგენილ წესს, სასამართლო ორგანოები იძულებულნი არიან აღადგინონ იგი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბევრგან ჯერ კიდევ ვერ ერკვევიან შრომის კანონმდებლობის ნორმებში. მაგალითად, წესის უხეში დარღვევით გაათავისუფლეს სამუშაოდან ა. გრუზდევი, რომელიც გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის № 1 საბავშვო ბაღის მზარეულად მუშაობდა. იგი სამუშაოდან გათავისუფლეს ადგილკომის თანხმობის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ, დარღვევა კი მას რამდენიმე თვის წინათ ჰქონდა ჩადენილი. წესის თანახმად კი მუშაკის განთავისუფლება დაიშვება ადგილკომის თანხმობის მიღებიდან და ფაქტის გამოვლინებიდან ერთი თვის განმავლობაში.

საქმის გაცნობით იმ დასკვნამდე მივედით, რომ თუმცა ა. გრუზდევამ დაიმსახურა სამუშაოდან განთავისუფლება. მაგრამ იმის გამო. რომ იგი ადმინისტრაციამ წესების დარღვევით განთავისუფლა, სახალხო სასამართლომ იგი სამუშაოზე აღადგინა. სასამართლომ ასევე აღადგინა სამუშაოზე ახმეტის რაიონის ოჟიოს საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ო. შარმაზნაშვილი, რომლის განთავისუფლების თანხმობა პროფკავშირის ადგილკომმა მისცა სათანადო კვორუმის გარეშე, ე. ი. ადგილკომის სხდომას არ ესწრებოდა წევრთა ორი მესამედი.

ზემოთ მოყვანილი ფაქტი მოწმობს, რომ ცალკეულ საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეებთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დროს უხეშად ირღვევა შრომის კანონმდებლობა, ზოგჯერ უცოდინარობით და ზოგჯერ შეგნებულადაც უგულებელყოფენ საბჭოთა კანონის მოთხოვნებს, რაც უარყოფითად მოქმედებს შრომის და საწარმოო დისციპლინაზე, საგეგმო დავალებათა შესრულებაზე. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ყოველთვის შრომის კანონმდებლობის დარღვევები და ამით თავიდან ავიცილოთ დროისა და სახსრების უნაყოფო ხარჯვა, ადამიანებისადმი უმართებულო დამოკიდებულება.

ა. ღულუნიშვილი,
საქართველოს. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებებით:

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. გელა იოსების ძე **ქვათაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის ყოფილი მდივანი, პერსონალური პენსიონერი ამხ. ნიკოლოზ დაკითის ძე **ზვიადაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. გივი გალაქტიონის ძე **გამყრელიძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვლასი ივანეს ძე **მანჯგალაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ბოლანი. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მორის. დღეიდან დღე სულ უფრო ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე და წარმატებით შესრულებისათვის.

დარგის 22-ათასიან არმიაში დღეს ბევრია ნოვატორი მუშა, რომლებმაც ჯერ კიდევ გასულ დამკვრელურ წელს უპატაკეს სამშობლოს პირად ხუთწლიან დავალებათა შესრულება.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც თავი გამოიჩინა და პირადი ხუთწლიანი გეგმა შარშან თებერვლის პირველი რიცხვებისათვის შეასრულა, კამეოლური დართვის ფაბრიკის საორფეველი უბნის მუშა, მრომის წოთელი დროშის ორდენოსანი მედეა ენგელიეშვილი. იგი ამჟამად პროდუქციას 1983 წლის ოქტომბრის თვის ანგარიშში უშვებს. მან ვალდებულება იკისრა მომავალი მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღების მესამე წლისთავისათვის — 1980 წლის 7 ოქტომბრისათვის შეასრულოს.

კარგ შედეგებს მიაღწია გორის ბამბეულის კომბინატის მრეველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარინე ალბოთაშვილმა. იგი მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობს.

თავდადებულმა შრომამ და ზუსტმა ინკინრულმა გაანგარიშებამ განაპირობა, რომ ბათუმის ტყავის საწარმოო გაერთიანების მრეველთა ბრიგადის თავკაცი ეფიგენი ეგოროვი ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით — 170-175 პროცენტით ასრულებს. ამასთან მის მიერ გამოშვებული პროდუქცია — ქრომის ტყავის ნაწარმი მხოლოდ უმაღლესი ხარისხისაა. სწორედ ამის შედეგად მიაღწია ე. ეგოროვმა იმას, რომ იგი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო კონკურსში და პირადი ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ საიუბილეო წელს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისთვის შეასრულა.

ასევე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ დედაქალაქის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამომჭრელები თემურ ჯინჭარაძე, გიორგი ინანიშვილი და ჩამბარველი ომარ მაისურაძე. ისინი მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ამან საშუალება მისცა მათ მეათე ხუთწლიანი გეგმა ორ წელიწადსა და სამ თვეში შეესრულებინათ. ამჟამად ისინი 1981 წლის ანგარიშში მუშაობენ.

რუსპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადწყვეტილებით დამკვრელური შრომით მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე წარმატებით გაწიდებისათვის მათ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

თ. კინწურაშვილი.

ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ვაჭროგის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა ვაჭრობის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრება გახსნა ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გავაშელმა. დახლის მუშაკებს მიესალმნენ პოეტი ლ. სულაბერიძე, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ასლანიკაშვილი. ვაჭრობის წარჩინებულნი.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკისადმი.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

კვირას სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა დარგის მუშაკთა დასვენების საღამო. (საქინფორმი).

„ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲮᲕᲐ“ № 14

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული ცხოვრება“ მორიგი, მეთოთხმეტე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — იდეოლოგიური მუშაობის საბრძოლო პროგრამა.

ანშლაგით: „პარტიული აქტივის კრების შემდეგ“ გამოქვეყნებულია წერილები: დ. დობორჯგინიძის — გვერდს ნუ ავიუვლიან მწვავე საკითხებს; ზ. ლომსაძის — ეკონომიკა — ჩვენი მთავარი პოლიტიკა.

რუბრიკით „სოციოლოგიის საკვანძო“ შეგიძლიათ გაეცნოთ თ. ჯაფარლის სტატიას — მგზავრთა ტრანსპორტი და საზოგადოებრივი აზრი.

ანშლაგით „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ“ დაბეჭდილია თ. ბარბლიშვილის სტატია — საგიტაციო კადრების შერჩევის, აღზრდისა და სწავლებას — მეტი ყურადღება.

ჟურნალს აქვს განყოფილებები — „ალიობა-79“; „საუბარი „მრგვალ მაგიდასთან“, „გამოიყენეთ საუბარში“; „საკვები — ყველას საზრუნავი“; „საუბარი მტკივნეულ საკითხზე“; „ვის რა ინტერესებს“, სადაც შეგიძლიათ წაიკითხოთ დ. იასეშვილის, ლ. მეგრელიშვილის, ჯ. კვარაცხელიას, გრ. ონიანის, მ. ჩხეიძისა და სხვათა წერილები.

ᲐᲠᲒᲕᲔᲗᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

მკითხველის წერილის კვალდაკვალ

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 25-ე ნაკადს მისცა ცხოვრების საგზური არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. თაბუკაშვილმა. სხვა რაიონის მკვიდრმა გულით შეიყვარა ვაზითა და ხალხით სახელგანთქმული სოფელი და სამუდამო ბინაც აქვე დიამკვიდრა.

ამაყობს თმაშეკერცხლილი კაცური კაცი, როდესაც სოფლის ინტელიგენციაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, აგრონომები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო წამყვანი სპეციალისტები სოფელს ისე მოჭარბებულად ჰყავს, რომ ჩამოთვლა შეუძლებელია. და როცა მათი დიდების სადღეგრძელო ისმება გიორგიც არავის ავიწყდება.

თვალსა და ხელს შორის გაქრა წლები. ნაომარ ვაჟკაცს საპენსიო ასაკმაც მოუწია. სოფლის დიდმა მოამაგემ კეთილშობილური მისია დაისახა. სანამ საკლასო ჟურნალს საბოლოოდ დადებდა კედელზე გაკეთებულ თაროზე, ნამოღვაწარი წლების ძეგლად ახალი სასკოლო შენობა ჩაიფიქრა.

ჩაიფიქრა და ვეღარც მოისვენა. მოღვაწე კაცს აზრი მოუწოლეს. დახმარება აღუთქვეს, ეს იყო ორი წლის წინათ. თითქოს კვლავ მოზღვავდა სიჭაბუკის ენერგია, თითქოს არც სისხლი ეღვაროს ფრონტზე, ისე გატაცებით, მონდომებით, საოცნებო ქმთქათა შენობის იმედით ედგა გვერდში მშენებლებს. შვიდასზე მეტი კაცდღის სამუშაო შეასრულა სკოლის კოლექტივმა საძირკველის ჩაყრიდან გადახურვამდე. მაგრამ...

ამ დღეებში, როდესაც რედაქციაში შემოსული კოლექტიური განკუნაღების შესამოწმებლად მივედით სოფელ არგვეთაში, მეტად დამაფიქრებელი, არასასიამოვნო ფაქტის მოწმე გავხდი.

ტელევიზიიდან ჩამოსულ კოლეგასთან ერთად გაოცებული და აღშფოთებული დავრჩი, როცა ეიღბლო სკოლის კორპუსები დავთვალიერე. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ შენობის სარდაფში, რომელიც სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტებისათვის არის ნავარაუდევი, 1,5 მეტრამდე ფყალი დგას. ეს ქმნის ფრიად სერიოზულ საშიშროებას მფლობელ ბავშვებისათვის (თუ ეღირსნენ შიგ შესვლას) და თვით ნაგებობის საძირკლისათვის. ახლა ვინც უნდა ნახოს სანიტარიული კვანძების განყოფილება, ყველა შეაშრნენს დაწეულ ტიხრებს, რომელიც წააქცევს პირას არის. თვით მშენებლებმა აღიარეს, რომ სადარბაზო შესასვლელის ფოიეში სამჯერ ჩანგრეულა მოზაიკური ფილებით დაფენილი იატაკი. ძნელია სიტყვით გადმოსცე ის განცდა, რომელსაც ზემო სართულის ჭერის ნახვით მიიღებთ. სკოლას ჯერაც არ უზიმია (ალბათ, კარგა ხანს დაავიანდება) ახალმოსახლეობა და უხეიროდ მოწყობილი ბრტყელი გადახურვიდან ჩამონადენი წყლის წვეთები სტალაგმიტების შთაბეჭდილებას ქმნიან. არაფერს ვამბობთ დერეფნებში ჩატანებულ ტანსაცმლის საკიდებზე, რომელიც აქედანვე გაუქმებულად შეიძლება ჩაითვალოს.

თორმეტი პედაგოგის მიერ ხელმოწერილ წერილში სხვაც ბევრი დეფექტი წერია. ვეთანხმებით, ყველაფერი სწორია და იმასაც დავუმატებთ, რომ ასეთ შენობაში მეცადინეობის დაწყება შეუძლებელია.

კარგად არის ნათქვამი, მოჩქარეს მოუგვიანდესო, რა ეჩქარებოდათ, ან მშენებლებს ან რაიონის ხელმძღვანელებს, რომ ტყუილი პატაკი მისცეს, ზემდგომ ორგანოებს, თითქოს „არგვეთის საშუალო სკოლა გასული წლის აგვისტოში დამთავრებულიყოს. ეს ხომ წამატებაა, თვალის ახვევაა. თუ არ გვერწმუნებიან, ზოგიერთ დეტალს მოვაგონებთ.

„ჩვენ ხელთ არის იმ საპასუხებლო სამმართველოს უფროსის თ. ნიკიფის წერილი, რომელიც სკოლას აგებდა. ამ წერილით უშუალოდ ობიექტის ხელმძღვანელები დამკვეთს — გორის საარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ლ. ინაურს და „ჭიათურმანგანუმმშენს“ ტრესტის მმართველს ჯ. რაზმაძეს ატყობინებდნენ, რომ ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის სკოლის მშენებლობაზე საძირკველში ამოდის გრუნტის წ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ახმეტის რაიონიდან მივიღე ქვემო ალვანის საკიბეში მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის თუშეთის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირის ვარლამ თორღვაიძის წერილი, რომელშიც მეგობარი გულისტკივილით მწერს — 4 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ მ. ოშორიძის სტატიაში „მთათუშეთის შუქჩრდილებში“ დაშვებულ უზუსტობათა შესახებ. მატყობინებს, რომ ამ ბოლო წლებში იმდენი რამ გაკეთდა თუშეთის აღორძინებისათვის, რაც წინა ათწლეულებსაც ეყოფოდა. მაგრამ სტატიაში ეს საკითხებიდან არ ასახულა, რაც, რა თქმა უნდა, მეტად დასანანია.

...და საერთოდ, ვ. თორღვაძის სტატიაში აღძრული საკითხები, ჩემი აზრით, საინტერესოა მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲩᲘᲥᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მწერალი.

აᲫ, ᲛᲗᲐᲗᲐ საბრძანებელში დაბადებულ და გავიზარდე, აქა სახლობდნენ ჩემი მამა-პაპანი და ბაბანი წინაპრები. თუშეთმა გრძელი და მძიმე გზა გამოიარა, სანამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მძლეთამძლე ნათელი შემოაფრქვევდა.

ფასდაუდებელი სიკეთე მოგვიტანა თუშებს ახალმა — საბჭოურმა ყოფა-ცხოვრებამ. ბევრ ნაოცნებარსა და ნაფიქრალს შეესხა ხორცი. თუშმა კაცმა საკუთარი თვალით იხილა მფრინავი ხალიჩა და მოლაპარაკე ყუთი, ადგილსენი სარკე და მეოცე საუკუნის სხვა საოცრებანი.

ჩემო ძმაო და მეგობარო! მგონია, შესაფერი სიტყვა ძალიან გამიგრძელდა, მაგრამ იმედი მაქვს მაპატიებ. შენმა წერილმა ამაღელვებინა ხელში კალამი; ფრცლად იმიტომ გწერ, რომ ჩემი კუთხის ბედ-იღბალს ძალზე შეუუხებიხარ. სხვა დროსაც მითქვამს შენთვის, თუ რარიგად მახარებს შენი წერილის მიღება, მიხარია და მეამაყება, რომ ასე გიყვარს ჩემი თუშეთი, ეს ადგილ-მამული, ეს მიწა-წყალი.

კარგა ხანია აღარ გვსტუმრობიხარ, თვალ-გული არ გაგიხარებია ამ სილამაზეში. „წელს ვაპირებდი შენთან ამოსვლას, — მწერ, — მაგრამ გადავიფიქრე, თურმე ძალიან გართულებულა მანდა ცხოვრება, ლუკმა პურის შოვნა, სტუმრის მისვლაც, თურმე, ისე რიგად აღარ ახარებს მანდაურ კაცს, სატკივარი და საწუხარი გაგმრავლებიათ“. ამას როგორ მწერ, კაცო?! ვკითხულობ შენს წერილს და წუთიერად ისევ იხსნება ახლად მოშუშებული იარები. ხან ცრემლი მებერინება ყელში, ხანაც ბოემა და ბრაზი. ასე ხელაღებით როგორ დაუჯერე იმ კაცს ყველაფერი.

სიმართლე გითხრა, შენი წერილი და 4 ივლისის გაზეთი „კომუნისტი“, სადაც მ. ოშორიძის სტატიაა მოთავსებული, რომელსაც ასე შეუშფოთებიხარ, ერთად მივიღე. ვიდრე გაზეთს წავიკითხავდი, შენმა წერილმა თავ-გზა ამიბნია, ამაფორიაქა, გამაბოღმა, წავიკითხე ის სტატია და ჩემთვის ნათელი გახდა შენი წერილის შინაარსის მიზეზი.

შენ კარგად იცი, რომ ბლეხკაცის ქვალობაზე კარგად ვერკვევი ცხოვრებისეულ საკითხებში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში. თეორიის შვილსაგან გარჩევაც ვიცი და შეთხზულისაც. რასაც ყოველდღიურად ვხედავ, განვიცდი და ვგრძნობ, იმაზე სხვისი მტკიცება და აგიტაცია აღარ მჭირდება.

ხომ გახსოვს, გასულ წელსაც მპირდებოდი — აუცილებლად ამოვალო ომალოში, მაგრამ ვეღარ მოგიხერხდა. რომ ამოსულიყავი, დაწვრილებით გიამბობდი იმ სასიკეთო ძვრებსა და წინ გადადგმულ ნაბიჯებზე, რომლებიც თუშეთის აღორძინებისა და განახლების მიზნით იქნა გადადგმული რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ. ამის დამადასტურებელ პრაქტიკულ საქმეებსაც გაჩვენებდი საკუთარი თვალით და ასერიგად აღარ შეგაშფოთებდა მ. ოშორიძის სტატია.

ვიდრე პირადად შეგხვდებოდე, გული აღარ მითმენს, მინდა ამ წერილი დაწვრილებით და თანამიმდევრულად გაგანდო ჩემი აზრი მ. ოშორიძის სტატიაში აღძრულ საკითხებზე.

„ცხვარმა და მეცხვარემ... დაანგრია თუშეთიო“. ამის სათქმელად ენა როგორ მოუბრუნდა! საქართველოში ბალლმაც კი იცის, რომ თუშეთს სახელი და დიდება სწორედ ცხვარმა და თუშმა მეცხვარემ მოუტანა; ის დიდი ყურადღება, რომელსაც ამ ბოლო წლებში იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თუშეთის აღორძინებისადმი, ეფუძნება თუშეთის საძოვრებზე სწორედ მეცხვარეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივას და მის რეალობად გახდომის საქმეში თუში კაცის მონდომებასა და შემართებას.

სტატიის ავტორი — თუშების „სახლკაცი“ — მართლა სახლკაცი რომ იყოს, იტყოდა, რომ თუშეთის სოფლების დაცარიელება და თუშეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაგონივრული გამოყენება საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მაშინდელ თავკაცთა ბრალია და ცხვარი და მეცხვარე არაფერ შუაშია. ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირს წაუშინაო, სწორედ ამაზე იტყვიან ხოლმე ჩვენში მწყემსები.

სტატიის ავტორს, თუ თუშების სახლკაცია და არა შორიდან მოთვალთვალე სწავლული, უნდა სცოდნოდა, რომ რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა უკვე განახორციელეს ღონისძიებები თუშეთის საძოვრების ეფექტიანი გამოყენებისათვის. შედგენილია საზაფხულო საძოვრებზე მეცხოველეობის ყველა ფერმისა და ბრიგადის განლაგების ზოოტექნიკური გეგმა და დაწესებულია მკაცრი კონტროლი მისი შესრულებისადმი. მარტო ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ერთი ბრიგადაა სოფლის ახლოს განლაგებული, ისიც იმიტომ, რომ წელს ყველგან ვერ მოესწრო მწყემსთა სადგომი ბინების მოწყობა, ყველა დანარჩენი გავიდა სოფლების შემოგარენიდან, რამაც შესაძლებელი გახადა სოფლის ახლოს მდებარე საძოვრები გამოყენებულ იქნეს მსხვილფეხა მერძეული პირუტყვისათვის.

ჩვენი სახლკაცი ბრძანებს, რომ, „თუ მთათუშეთში ისევ მიწათმოქმედებას არ მიპყვეს ხელი, ისე ეს მხარე ვერ აღორძინდება, იქ თუში კაცი ვერ დამკვიდრდებაო“. ბევრი რომ არ ვთქვათ, ჩვენ, თუშეთის ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ძალზე უხერხულად მიგვაჩნია ასეთი მტკიცება. თუშეთი ოდითგანვე მეცხოველეობის მხარე იყო და არა მიწათმოქმედებისა.

გონივრულ დასკვნად მიგვაჩნია შემდეგი: თუშეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არაგონივრული გამოყენება საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მაშინდელ თავკაცთა ბრალია და ცხვარი და მეცხვარე არაფერ შუაშია. ასეა ისეთი ყანაა, ჰექტარზე ალბათ 20-22 ცენტნერ ქერს მივიღებთ, ადრე კი 10 ცენტნერსაც ვერა ვიღებულობდით. ახლა ბუნებრივ სათიბებში შეტანილი სასუქების შედეგებს არ იკითხავთ?! მიწამ ისეთი ბალახი ამოიყარა, რომ საზამთროდ საკმაოდ ბევრი თივა დავამზადეთ და ამ ზამთარს ჩვენი მეურნეობა ორას სულ მსხვილფეხას მაინც დატოვებს მთაში გამოსაზამთრებლად. მომავალში კი, როცა ყველა სახნავი ფართობი საკვები კულტურებისათვის იქნება გამოყენებული, გამოსაზამთრებელი მსხვილფეხას სულადობა 1200-მდე გაიზრდება. აი, რა მიწათმოქმედება უნდა განვავითაროთ. ეს იმას ნიშნავს, თითქოს აქ მეცხოვრე თუშებს საკარმიდამო ნაკვეთები არ ექნებათ. გახსოვს, ჩემს ბოსტანში რა ბლომად გვქონდა ხახვი, ნიორი, მწვანილი, კარტოფილი. ვინ დაგვიშალა, რომ ახლაც მოვიყვანოთ. მოგვყავს კიდევაც, ვისაც მკლავი გვერჩის, ვისაც არ სჯერა, მოვიდეს და ნახოს რომანოზ ნაკუდაიძის, არსენა მალკანიძის საკარმიდამო ნაკვეთები.

„თუ არა ხარის ქედი — მთათუშეთს ვერაფერი აააშენებსო“. გულში, რომ იფიქრა, გაზეთს როგორ მისწერა ეს, კაცო?! ინჟინერ-მექანიზატორი და თანაც დოცენტი მაინც არ იყოს! ალვნიდან ომალომდე გაყვანილი ამოტელა გზა, ახლა მანქანები რომ დაღუღუნებენ, გამოდის, რომ ხარის ქედს აუშენებია. მგონა თავის საინჟინრო ცოდნას სამთო ტრაქტორების გაუმჯობესებისათვის გამოიყენებდა, ამით მთელ ქვეყანასა და თავის თუშეთსაც დაეხმარებოდა. ის კი გაიძახის — ხარი და ხარი!

ცხენზე და სახედარზეც ამბობს, უნდა მოშენდესო, თანაც ავტორიტეტულად აცხადებს „ახლა აქ ათასში ერთს თუ ჰყავს ცხენიო“. ათში ერთი, რომ ეთქვა, ისიც არ იქნებოდა მართალი. მე შებრუნებით ვიტყვი — აბა, თუშეთში მცხოვრები ათი ოჯახიდან ერთი ოჯახი დამისახელოს, რომელსაც არა ჰყავს ცხენი ან სახედარი. ცხენი და სახედარი კი არა, ახლა ომალოში საკუთარი ავტომანქანები დაქრიან. ჩემი მეზობელი ომალოელი მიხეილ იჭირული ხომ გახსოვს, რომ მეუნგნებოდი, თუში მეცხვარის ნამდვილი განსახიერებაააო, ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის №2 ფერმის №6 ბრიგადის ბრიგადირი, 1978 წლის სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებულს ურიგოდ ავტომანქანა „ულოხონინეი“ მიაყიდეს. ასე რომ, ცხენი კი არა, ახლა ომალოში საკუთარი ავტომანქანებიც გვყავს, რომ სტუმარს მოვემასპეროთ. შენ კი შეშინებულხარ ოშორიძის სტატიით და გულდაწყვეტილი მწერ, თქვენ თქვენი გაჭირვებაც გეყოფათ, მე რაღაზე დაგაწვეთ ზედმეტ ბარგადო.

ახლა თუშეთის მაცხოვრებელთა სურსათ-სანოვაგით მომარაგების შესახებ, რასაც შენ ეგრერიგად შეუშფოთებიხარ. „მთელ მთათუშეთში ერთი მაღაზიაა და ისიც ომალოში, მაგრამ ფქვილი, პური და სურსათი იქაც არა აქვთო“, — წერს ოშორიძე. ეს კი უკვე მეტისმეტია, კაცო?! ყველა დაინტერესებულ კაცს ხომ შეუძლია შეამოწმოს, წლის განმავლობაში თუშეთში რამდენ კაცს უნდება ყოფნა (მესტუმრეც და მასპინძელიც მყავს მხედველობაში) და მაღაზიის საშუალებით რამდენი სურსათ-სანოვაგეა რეალიზებული. ჰო და, ეს კი წერს, თუშებს ცხოვრება უჭირთ და სტუმრის მიღება აღარ უხარიათო. აი, თურმე, ოჯახიდან გადაგიფიქრებია ჩემთან სტუმრობა, ალბათ გეგონა, იმ კაცს, თურმე, საკუთარი ოჯახის შენახვა უჭირს, ფქვილი რომ შეიძინოს, ვერტმფრინავს უნდა შეახტეს, სანამ მიწაზე დაეშვება, რომ უფრედოდ არ დარჩესო და მასთან სტუმრობა უხერხულიაო.

ომალოში საავტომობილო გზის გაყვანასთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობამ ახმეტის რაიკოპერატივს დამატებით ორხიდიანი მანქანა მისცა და ახლა თუშეთში მცხოვრებთათვის სურსათ-სანოვაგეს ვერტმფრენავით კი არა, ყოველდღიურად მანქანით ეზიდებიან.

ასე რომ, ჩემო ძმაო და მეგობარო, მართლა ისე როდია საქმე, როგორც ჩვენი სახლკაცის წერილში წერია. იმ წერილს შენ რომ შეუშინებიხარ, ტყუილად როდი აქვს სათაურად „მთათუშეთის შუქჩრდილები“, მართლაც რომ, თუშეთის დღევანდელი ცხოვრება მარტოოდენ ჩრდილის მხრიდან არის დანახული და თანაც ჩრდილში მყოფი კაცის საწყრითაა და საზომითაა აწონილი და გაზომილი. ობიექტური უნდა ვიყოთ ყველა საკითხის მიმართ. სწორედ და სამართლიანად უნდა განვსაჯოთ და შევაფასოთ, ავწონ-დავწონოთ გაკეთებული და გასაკეთებელი. უფრო მეტის მიღწევისა და გაკეთების სურვილმა და წადილმა უკვე არსებულზე, გაკეთებულზე, მიღწეულზე თვალი არ უნდა დაგვაბუჭინოს.

ეს გზა — თუშეთის აღორძინების არტერია — დასრულებულ სახეს 1980 წელს მიიღებს. ამავე წლიდან დაიწყება ომალოში მაღალი ძაბვის ელექტრობაზის და ომალო-შეხაქის საბაგირო გზის მშენებლობა. უკვე წელს იწყება და წელსვე დამთავრდება სასმელი წყლით ომალოს უზრუნველყოფის სამუშაოები, რომელიც 80.000 მანეთი ჯდება. „საქსახმშენმა“ შეადგინა თუშეთის აღდგენა-განაშენიანების გენერალური გეგმა-პროექტი, ამჟამად პროექტდება სოფელ ომალოში სასტუმრო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, იქმნება საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის დადგენილებით ისე უნდა გაკეთდეს, რომ მთლიანად იქნეს შენარჩუნებული თუშეთის არქიტექტურული კოლორიტი.

რაიონის პარტიულმა კონფერენციამ დააყენა საკითხი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ოფიციალურად იტყობინება, რომ პროექტდება ომალოდან სხვა სოფლებში და საძოვრებზე მისასვლელი გზების გაყვანა, რაც მეთერთმეტე ხუთწლედშია გათვალისწინებული. დასახულია სამშენებლო ფილის ღია კარიერების, პირიქითა ალაზანზე საკალმახის მოწყობა, ბავშვთა და მშრომელთა გამაჯანსაღებელი პროფილაქტიკური ობიექტების, ტურისტული ბაზის მშენებლობა, თუშური ხალიჩების, წინდების, ჩითების, ქუდებისა და ხალხური ხელგარჯილობის სხვა ნაწარმის გამომშვების ორგანიზაცია და მრავალი სხვა.

არ გაგიკვირდება, თუ საიდან ვიცი ყველაფერი ასე დაწვრილებით. მე თუშეთის შორიდან მოჭირნახულე კი არა ვარ, არამედ მისი სუნთქვით ვსუნთქავ და მისი მომავლით ვსულდგმულობ. თუშეთის პატრიოტები მარტო მე კი არა ვიკიან ჩვენმა თუშებმაც, ნამდვილმა სახლკაცებმა, და ამიტომაც არის, რომ ბევრია მოსურნე თუშეთში ამოსვლისა. ფასდაუდებელია ამ ადამიანების დასაყრდენი. თბილისელ ეკონომისტებს, ინჟინერებს, ტექნიკოსებს, ექიმებს, ბიბლიოთეკარებს, ბაღჩეულებს, ბაღმაგებს, ბაღმაგ-ბაღჩეულებს, ბაღმაგ-ბაღჩეულ-ბაღმაგ-ბაღჩეულებს, ბაღმაგ-ბაღჩეულ-ბაღმაგ-ბაღჩეულ-ბაღმაგ-ბაღჩეულ-

თანამედროვეობის სუნთქვით

სიტყვა მეგობარზე

გრიგოლ ჩიქოვანის შემოქმედებით საწყისებზე რომ ფიქრობ, უნებლიედ აღგეძვრება აზრი იმ გავლენაზე, რომელიც შეიძლებოდა მოეხდინა მწერალზე ქართველ, რუს და დასავლეთევროპელ კლასიკოსებს.

ერთხელ გრიგოლს ვკითხე, თუ ვინ იყვნენ მისი მასწავლებლები.

ჩემი მასწავლებლები ალბათ მიხეილ ჯაჯანიშვილი, ლეო ქიაჩელი, ჯეკ ლონდონი, ემილ ზოლა, ჩეხოვი და, რასაკვირველია, ტოლსტოი იყვნენო, მიპასუხა მან...

გრიგოლი და მე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. უფრო ხშირად წერილებით ვეხმაურებით. მისი წერილები უტყუარი დამადასტურებელია ამ მწერლის სულელური და ადამიანური თვისებებისა...

რა გამოვყოთ, როგორც მთავარი, გრიგოლ ჩიქოვანის პროზიდან?

მე გრიგოლ ჩიქოვანს ვუწოდებდი ოდიშის შემატიანეს, დასავლეთ საქართველოს ამ განშტოებელი კუთხის ყამთა